

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

**სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი
სატენდერო კომისიის სხდომის**

ოქმი №1

25 აგვისტო, 2016 წელი
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

გურგენ სართანია _ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

სატენდერო კომისიის წევრები

თენგიზ შანავა _ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

თენგიზ ქობალია _ ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის
სამსახურის უფროსი;

რუსლან კილასონია _ ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის
სამსახურის უფროსი;

ჯაბა არდია _ მშენებლობის სამსახურის უფროსი;

ლერი დოჩია _ სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები

ბესიკ ქარდავა _ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

აქსანა გუჩუა _ იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობით _ ექვსი წევრის
დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ
ერთეულებში საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე სიჩქარის შემანელებელი _ „ხელოვნური ბორცვებისა“
და საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო
დოკუმენტაციის განხილვა.


მოისმინეს: სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარის
გ. სართანია ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე სიჩქარის შემანელებელი _
„ხელოვნური ბორცვებისა“ და საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე 2016 წლის 15
აგვისტოს გამოცხადებული არშემდგარი გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა (სატენდერო
განცხადების ნომერი SPA160022818) და ხელახალი ტენდერის პროცედურის ჩატარების თაობაზე.

სხდომის მსვლელობა: სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო
დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო
მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო
წინადადების ფორმები. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 13839 ლარით.

კომისიამ გადაწყვიტა: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის
შესაბამისად დამტკიცდეს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე სიჩქარის შემანელებელი _
„ხელოვნური ბორცვებისა“ და საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე წარმოდგენილი
განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია (ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო
დოკუმენტაცია თან ერთვის).

დავეალოს სატენდერო კომისიის აპარატს: უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

კომისიის წევრები:

1.  გ. სართანია (თაემჯდომარე).

2.  თ. შანავა.


3.  თ. ქობალია.

4.  რ. კილასონია.

5.  ჯ. არდია.

6.  ლ. დოჩია.

კომისიის აპარატის წევრები:

1.  ბ. ქარდავა.

2.  ა. გუჩუა.